

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ზრით - ეროვნული თავისუფლებისათვის
ეროვნული თავისუფლების ზრით - ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული
ნიმუში

პირველი
ნიმუში

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.
გამოცემის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№77 (1587)

29-30 ივლისი, 1997 წელი

დისკუსია:

საით მიდის საქართველო?

რამდენიმე წლის წინ ჩვენ-
ში დიდი ბრძოლა გამოუცხ-
ადეს... არსენა ოძელაშვილს...
როგორ თუ მდიდარს ართ-
მევდა და ღარიბს აძლევდა.
რა უფლებებით! ამისი უფლე-
ბა არსენას ღარიბ-ღატაკთა
საცოდობამ მისცა...


ლევან ბრეგვაძის წერილი იხ. გვ-5 გვ.

რამდენი სარკაზმი იყო
ბრეჟნევის წიგნების განხ-
ილვაში.

სხვათა შორის, ანდროპოვი
არ დაესწრო ამ წიგნის სა-
კომიტეტო განხილვას! არ
მოინდომა ასეთ მლიქ-
ვნელობაში

მონაწილეობის მიღება.


(რედაქტორის შენიშვნა:
ზოგიერთი ქართველი კრი-
ტიკოსისაგან განსხვავე-
ბით)...



მთავარი თემა:

ელნარდ შევარდნაძე:

— თუ სამშვიდობო კალაპი
თავად გავლენ აფხაზეთთან, ჩვენ
მათ არ ღვაკაპავთ



ვიდრე არ არის მიღებული
გადაწყვეტილება აფხაზეთში ფარ-
თომასშტაბიანი სამშვიდობო ოპერ-
აციის ჩატარების შესახებ გაეროს
ეგიდით, საქართველოს კატეგორი-
ულმა მოთხოვნებმა კონფლიქტის
ზონიდან რუსეთის სამშვიდობო
ძალების გაყვანის შესახებ, შესა-
ძლოა გამოიწვიოს აფხაზეთში ვი-
თარების დაძაბვა და ამის სიმპტომ-
ები უკვე შეიმჩნევა, — განაცხადა
გუშინ ტრადიციულ ორშაბათის რა-
დიოინტერვიუში საქართველოს პრე-
ზიდენტმა, ელნარდ შევარდნაძემ.

მისი თქმით, სწრაფვა სამშვიდობო ოპერაციის გაფართოებისკენ
კიდევ ერთხელ ამოწმებს იმას, რომ საქართველოს სურს მშვიდობიანად
მოაგვაროს კონფლიქტი აფხაზეთში და არ უნდა დაუშვას საბრძოლო
მოქმედებების განახლება.

მაგრამ არაფერ იოცნებოს, რომ საქართველო ძველი სქემით გააგრ-
ძელებს მანდატს სამშვიდობო ძალებისთვის, ვთქვათ, კიდევ ნახევარი
წლით, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

თუ მანდატის დასრულების შემდეგ სამშვიდობო ძალები თავად
დატოვებენ კონფლიქტის ზონას, რა თქმა უნდა, ჩვენ მათ არ შევამ-
ერებთ, — თქვა პრეზიდენტმა.

შევარდნაძის აზრით, მანდატის გაგრძელების მოთხოვნა, განსაკუთრე-
ბით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების
ფონზე, არასწორი იქნებოდა. თანაც, გადაწყვეტილება მანდატის გაგრ-
ძელების შესახებ, შეუძლია მიიღოს მხოლოდ დსთ-ის სახელმწიფოთა
მეთაურების სამიტმა, რომელიც სექტემბერში შეიკრიბება. დსთ-ის ქვეყ-
ნების მეთაურთა წინა გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა საქართველოს
აძლევს სრულ მორალურ და პოლიტიკურ უფლებას, ეძებოს ახალი
გზები კონფლიქტის მოსაგვარებლად. (პრამ-ნიუსი)

ჩვენ რუსეთში სტრატეგიულ პარტნიორად მიგვაჩნია, მაგრამ ის
ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არ იყოს ასეთი პარტნიორი

რუსეთი კვლავინდებურად რჩება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიო-
რად, — განაცხადა თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში
საქართველოს პრეზიდენტმა, ელნარდ შევარდნაძემ.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დინამიურ განვითარებაში
დაინტერესებულია ორივე მხარე, — აღნიშნა მან, — მაგრამ ეს ურთიერ-
ობები უნდა მყარდებოდეს თანასწორობის, ნდობის, ტერიტორიული
მთლიანობის ურთიერთცნობის პრინციპებზე, თანაც, არა საუბრებით,
არამედ საქმით.

შევარდნაძის თქმით, საქართველომ ამისთვის ყველაფერი გააკეთა,
რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, მოაწერა რა ხელი ხელშეკრულებას
რუსეთისთვის სამხედრო ბაზების გადაცემის შესახებ 25 წლის ვადით.

საქართველოში ბორის ელცინის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა
ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირებაც, თავის მხრივ, მოახ-
დინა საქართველოს პარლამენტმა თავის ერთ-ერთ პირველ სხდომათა-
განზე. რუსეთში ეს დოკუმენტი ჯერაც არ არის პარაფირებული, —
აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველომ მოთმინება გამოავლინა ყველაფერში, თვით იმის
გამოც, რომ რუსეთმა თავშესაფარი მისცა ცნობილი ტერორისტული
აქტების ორგანიზატორთა ბანდას და ჩვენ ამის გამო მხოლოდ მწუხ-
არება გამოეთქვიოთ, — თქვა შევარდნაძემ.

მისი თქმით, რუსეთის კონკრეტული ქმედებები ძალზედ განსხ-
ვავდება მასზე დაკისრებული გარკვეული საერთაშორისო ვალდებულე-
ბებისაგან, მათ შორის — ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზეც. (პრამ-
ნიუსი)

მთავრობის „გაფართოებული სსლომა“

როგორც ქათმები ქორის
ქვეშ
შიშისგან თვალებს
კარკლავენ,
იციან ან ამ სხდომაზე,
ან მეორეზე დაკლავენ...
რუსლან მიძაბარიძე



ირინა სარიშვილი-ჭანტურია: თუკი ხალისუფლებას ებონა, რომ ქანავის მოლაპარაკება რაიმე შედეგს გამოიღებდა, ნამებნავად მოსმეჭვრავალი ვერ ყოფილა



საპარტიზმოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ 31 ივლისის შემდეგ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება არ გაგრძელდება და მოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება სამშვიდობო ოპერაციის რეალურ ინტერნაციონალიზაციას ანუ სხვა სახელმწიფოთა კონტინგენტების შეყვანას რეგონში.


პარტიის ლიდერს მიაჩნია, რომ 31 ივლისის შემდეგ რუსეთის ჯარებს მანდატი რომ არ გაუგრძელდეს, მათ გაყვანას თვეანახევარი-ორი თვე დასჭირდება. თუ ამ ვადაში არ მოხერხდება ჯარების ჩანაცვლება, რუსულ კონტინგენტს გაუგრძელდება აფხაზეთში ყოფნის ვადა იმდენი ხნით, რამდენიც საჭირო იქნება ჩანაცვლების ოპერაციის მოსამზადებლად. - უთხრა პრაიმ-ნიუსს ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

დადასტურებულია აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნების სურვილი და სამომავლო მოქმედებების დაუწყებლობა. კიდევ ერთხელ დემონსტრირება იმისა, რომ აფხაზეთის ომი არ უნდა და მშვიდობიანად სურს შეინარჩუნოს, რაც მოიპოვება, სულაც არ არის საჭირო, - თქვა სარიშვილი-ჭანტურია და დასძინა, რომ აფხაზეთი თელავის და ქუთაისის ოკუპაციას არც ადრე გვეგმაღდენ. მისი თქმით, სოხუმის მიმდებარეობის მისაღება მხოლოდ აფხაზეთში არსებული ვითარების შენარჩუნება, რადგან რაიმე სხვა გადაწყვეტილება არ იმბას პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავს. საოცარია ქართული მხარის პოზიცია, რომელიც, აფხაზეთში დღეს არსებული ვითარების ფონზე, უფრო მკაფიოდ აცხადებს მშვიდობის შენარჩუნების სურვილის შესახებ, - თქვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა (არაიმ-ნიუსი)

თ.ნადარეიშვილი მოსკოვში გადაწყვეტს აფხაზეთის პრობლემას

როგორც გუშინ „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში მოსკოვში ვიზიტად მყოფმა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავ-რემ თნადარეიშვილმა განაცხადა, მოსკოვში მისი ვიზიტის მიზანია 31 ივლისის აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ვიზიტის დროს თნადარეიშვილი შეხვედრას გაქვავებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აპარტის, სახელმწიფო სათათბიროს და პოლიტიკური ფრაქციების წარმომადგენლებს. გუშინ თნადარეიშვილი შეხვედა პრეზიდენტის აპარტის კაზაკთა სამმართველოს წარმომადგენელს სევასტიანოვს. ვიზიტი 30 ივლისს დასრულდება. „იფრინდა“-სათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი გადაწ-

ყვეტილებით, თნადარეიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა უშიშროების საბჭო. როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, უშიშროების საბჭო 7 კაცისგან შედგება და მისი მიზანია აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა. კერძოდ, კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შემდგომ, მშობლიურ ადგილებში მტრული უსაფრთხო დაბრუნება.



ეკლესიაში განხეთქილება ბრძელდება

საპარტიზმოს მართლმადიდებელ ეკლესიას კიდევ ერთი მონასტერი განუდგა. დღეს ქუთაისის მონასტრის ძმობამ გააერცვლა განცხადება, რომლის მიხედვითაც მათ ექვარისტული კავშირი გაწყვეტეს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან. „უნიადან საქართველოს ეკლესიის სინოდი ეკუმენიზმს მწვალებლობად არ მიიჩნევს, არ გმობს მას და ექვარისტულ კავშირს ინარჩუნებს ეკუმენისტურ

მწვალებლობაში ჩაგარდნილ ადგილობრივ ეკლესიებთან, ამიტომ ეწყვეტს ექვარისტულ კავშირს საქართველოს საპატრიარქოსთან, მანამ, სანამ საქართველოს ეკლესიის სინოდი მართლმადიდებლურ პოზიციაზე არ დადგება, - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ქუთაისის მონასტრის წინამძღვარი, ბასილი, ბერ-დიაკანი ტაპინი, მორჩილები ზურაბი და მერაბი და მონასტრის ძმობა. (ბმპ)

10 ადამიანი დაიღუპა ავტოკატასტროფაში

10 ადამიანი დაიღუპა და 10 მძიმედ დაზარადა ავტოკატასტროფაში, რომელიც მოხდა გუშინ წინ დილით, დაახლოებით, 11 საათზე. სამგზავრო ავტობუსს ქუთაისის შემოსასვლელთან. „ლაზის“ მარკის ავტობუსი, რომელიც დიდი სიჩქარით მიდიდა ქუთაისისკენ ტყბულის მხრიდან, დაეჯახა გზის პირას მდებარე საცხოვრებელ სახლს. წინასწარი მონაცემებით, ავარია გამოიწვია იმან, რომ მძღოლმა მან-

ქანა ვერ დაიმორჩილა. ავტობუსის 50 მგზავრთაგან 7 ადგილზე დაიღუპა, 3 კი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. მძღოლი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. როგორც პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი იტყობინება ქუთაისიდან, მოზილიზებულია და მზად არის დასარაღებულთა მისაღებად იმერეთის რეგონის ყველა საავადმყოფოს და ბოლოსთვის ქუთაისში. დღეს, იმან ჯანდაცვის მინისტრს, უთხარილ ჯორბენაძეს.

დასაფლავებლად მოხდა. მაშინაც „ლაზის“ ტიპის ავტობუსი, რომელსაც 26 დღეანი გადაყვანა აფხაზეთიდან ბათუმში, ხეს შეეჯახა მას შემდეგ, რაც ავტობუსს წინა მარცხენა ბორბალი გამოსძვრა. (არაიმ-ნიუსი)

ღვანის ნიყაბი აზერბაიჯანის პრეზიდენტის, პეიკარ ალიაშვილის ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში

ბაქო - აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტი აშშ-ში, რომელსაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, ოთხწლიანი მოსამზადებელი სამუშაოს შედეგია, - განაცხადა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველმა, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში, ვაფა გულუზადემ. აღივების ვიზიტი აშშ-ში დაიწყება შეხვედრით ვაშლის შტაბ-ბინაში, სადაც ის შეხვედრება აშშ-ში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების ელჩებს, - აღნიშნა სახელმწიფო მრჩეველმა. 907-ე შესწორების გაუქმების საკითხი, რომელიც კრძალავს აზერბაიჯანისთვის იარაღის მიწოდებას, განხილვის საგანი გახდება კონგრესმენებთან შეხვედრისას აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში. თეთრ სახლში აზერბაიჯანის ლიდერს მიიღებს აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი. საათნახევრიანი მოლაპარაკებებისას ორი ქვეყნის პრეზიდენტები განიხილავენ საკითხებს, რომლებიც ორივე მხარის ინტერესს წარმოადგენს.

რახდება კავკასიაში

ვიზიტის მსვლელობისას დაგეგმილია აღივების სტუმრობა ამერიკის სანაეთობო კომპანიებში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კასპის ნავთობსაბადოების დამუშავებაში. საგარეო-პოლიტიკური ვიზიტის პრეზიდენტის შეხვედრა აზერბაიჯანის სათვისტომოსთან აშშ-ში. რაც შეეხება იმ-პი-ის კითხვას იმის თაობაზე, რომ აშშ-ის კონგრესის ქვეკომიტეტმა მიიღო კანონპროექტი ყარაბაღისთვის პირდაპირი დახმარების შესახებ, გულუზადემ უპასუხა, რომ რუს-პუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. სახელმწიფო მრჩეველის აზრით, აშშ-ში აზერბაიჯანის პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის წინა პერიოდში ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ გაშვებული კამპანია მხოლოდ სომხეთის წინააღმდეგ აღსანიშნავია. კანონპროექტში სპუბარია მთლიანად კავკასიისთვის დახმარების გამოყოფის თაობაზე, მათ შორის მთიანი ყარაბაღისთვისაც. თუმცა, ამ საკითხს კონგრესში მხოლოდ სექტემბერში განიხილავს. ამერიკის პარლამენტი არასოდეს მიიღებს კანონს, რომელიც შეიქმნა აზერბაიჯანის ინტერესებს, - დაბეჯითებით განაცხადა სახელმწიფო მრჩეველმა. (არაიმ-ნიუსი 28-31-00)

ვახინგტონის საერთაშორისო ინტერესები აშშ-ის კავკასიისა და მხარეებში

ერევანი - სტამბულში გამოცემულმა გაზეთმა „უამანაკმა“ გამოაქვეყნა ანალიტიკური მასალა, რომელშიც საკუთარ კომენტარებს სთავაზობს მკითხველს აშშ-ის პოლიტიკასთან დაკავშირებით კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. ვთავაზობთ ამ მასალის შემოკლებულ ვარიანტს. სულ ახლახანს ვაშინგტონში მიიღეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რიგი სახელმწიფოების მეთაურები. აშშ-ს უკვე ეწვივნენ ყირგიზეთისა და საქართველოს პრეზიდენტები ასკარ აკაევი და ელვარდ შევარდნაძე. მომავალი კვირისთვის დაგეგმილია აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის ვიზიტი აშშ-ში. ყოველივე ეს მოწმობს ამერიკის მთავრობის ინტერესზე ამ რეგიონის ქვეყნებისადმი. უთუოდ, მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ეს სახელმწიფოები მდიდარია ბუნებრივი რესურსებით აშკარაა, რომ ამერიკას განზრახული აქვს საკუთარი წილი მიიღოს ამ სიმდიდრიდან, რაც

აიძულებს ვაშინგტონს განამტკიცოს საკუთარი პოზიციები ამ ქვეყნებში. ითვლება, რომ აშშ-ს ხელისუფლების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ამ რეგიონში დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის დამყარება და ამ მიზნის განსახორციელებლად ამერიკა ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მიზნით, აშშ ახალი დიპლომატიური ინიციატივებით გამოდის. ამასთან დაკავშირებით, დიდი როლი ეკისრება ამერიკული დიპლომატიის ერთ-ერთ ავტორიტეტულ პიროვნებას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, სთროუბ თელბოტს. ვაშინგტონიდან შემოსული ინფორმაციის თანახმად, ეს უკანასკნელი გამოვიდა ჯონ ჰოვარდისის. უნივერსიტეტში, რომელიც წამყვანია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. რეგონი, რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიიდან ცენტრალურ აზიამდე, 8 ქვეყანას ითვლის, რომელთა წიადი ნაერთის მნიშვნელოვან მარაგს შეიცავს. ქლინტონის ადმინისტრაციას მშვენიერად ესმის, რომ რეგიონალური კონფლიქტები უდავლად დაბრკოლებას ქმნის „შავი ოქროს“ უდიდესი მარაგის ათვისებაში. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ვაშინგტონი ცდილობს გადაწყვიტოს ყარაბაღის, აფხაზეთის და ტაჯიკეთის კონფლიქტები.

შეეხო რა ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგების პროცესს, სთროუბ თელბოტმა ოპტიმისტურად ისაუბრა სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგების თაობაზე. ეს კვლავ ადასტურებს ამერიკული მხარის მყარ გადაწყვეტილებას - ხელი შეუწყოს კონფლიქტების მოწესრიგებას. უცხოური წყაროების თანახმად, თელბოტმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონმა მოამზადა წინადადებები ამ პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ თავი შეიკავა მისი დეტალების განმარტებაზე. თელბოტის აზრით, კანონის 907-ე მუხლი, რომელიც აშშ-ის კონგრესმა 1992 წელს მიიღო, ართულებს საკითხის გადაწყვეტას. ეს კანონი იმისთვის იყო მიღებული, რომ სომხეთს აზერბაიჯანის მხრიდან ბლოკადისთვის დაეღწია თავი. თუმცა, 907-ე მუხლი გახდა მიზეზი იმისა, რომ ამერიკულმა მხარემ თავისი დრეკადობა დაკარგა ბაქოსთან მიმართებაში. ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, ჩვენ ვერ დავეხმარეთ აზერბაიჯანს დასრულებულ ვერც არჩევნების დროს, ვერც სანაეთობო პროგრამების განვითარებაში და ვერც ეკონომიკური რეფორმების ხაზით, - თქვა თელბოტმა. (არაიმ-ნიუსი) - არამენარაქსი)

„საქართველოს“ რედაქციის:

ნაფიქსი კომუნისტებმა თუ უნიტარებმა?

რუსეთის კომპარტიის გახსნამ „რუსული“ (24.VII.1997) გამოაქვეყნა მორტი ანტიკომუნისტური და ანტი-ქართული წერილი (სათაურით „На языке Пушкина. Но кто, что и почему?“), რომლის თემაა რუსების „შევიწროება“ საქართველოში. ამ წერილის ერთ-ერთი ხელმოწერილია

„Нодар Натадзе“. გთხოვთ გააგებინოთ საზოგადოებას, რომ ამ წერილის ხელმოწერილი მე, ნოდარ რევაზის ძე ნათაძე, მცხ. თბილისში, ფანასკერტელის ქ. XVI, არ ვარ.

მე არ ვიცი, სხვა ნოდარ ნათაძემ მოაწერა ხელი ამ სინძურეს, თუ უნდა რა ავტორმა ფსევდონიმად ჩემი სახელი და გვარი აირჩია იმ მიზეზით, რომ მეც თავისი სულმდებლობის „თანამონაწილედ“ გამხადოს არაფერ-ციალური „ჭორი“ მეუბნება, რომ ეს პროუკაცია ქართველი კომუნისტების ორგანიზებულია, რომელთაც სათავეში პანტ გორგაძე უდგათ. მაგრამ ვერც იმას გამოვიცხადებ, რომ ამ დონისტიკაში ახალი, სახელგადარქმული კომუნისტების ხელი ეროს, რომელთა ხელწერისთვისაც ანალოგიური ხრიკები უცხო არ არის.


პაპიონისაჟი: 6.6.ნათაძე



ამ კარიკატურაში მკითხველი, ალბათ, იცნობს ბატონ ივანე ბოლოვს, საქართველოში რუსების კულტურული ორგანიზაციების დეაქტივიზაციის მუშავეს. ჯგუფი, რომელიც ფეხზე დგას, ამ კულტურულ ორგანიზაციებს ასახელებს. ირინია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სახის ტიპით ქართველები არიან.

გიორგი პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევას ითხოვს

„საქართველოს ხელისუფლება ხშირად არღვევს კონსტიტუციას. იგი პარლამენტს არ აცნობს სარატიფიკაციო-სამხედრო შეთანხმებებს. კონსტიტუციის დარღვევა იყო ისიც, რომ კვირიას გადაყენებებიდან ორი კვირის თავზე მან არ წარმოადგინა ახალი მინისტრის კანდიდატურა. მითუმეტეს, რომ საკითხი უშიშროების მინისტრს ეხებოდა, რომლის რელიეფი უმნიშვნელოა 31 ივლისის შემდგომი მოვლენებისათვის“, - განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე „სახალხო ფრაქციის“ თავმჯდომარე, მამუკა გიორგაძემ.



ამ და სხვა მიზეზების გამო „სახალხო ფრაქცია“ ითხოვს პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევას, რათა საბოლოოდ გაირკვეს, მზადაა თუ არა ხელისუფლება 31 ივლისთან დაკავშირებული დამატებითი შესასრულებლად „სახალხო ფრაქციის“ მხარის უჭერს ფრაქცია „ლეიბორისტები“. გიორგაძეს იმედია აქვს, რომ სხვა ფრაქციებთან მოლაპარაკების გზით დაგროვებს საგანგებო სესიის მოსაწვევად საჭირო 1/3 ხმას.

დევნილთა დაბრუნების საკითხი, რაც სულაც არაა ხელისუფლების საქმე. „მან ტერიტორიის დაბრუნებაზე იფიქროს, ხალხი კი თავისით დაბრუნდება“, - აცხადებს გიორგაძე.

ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, დადგება თუ არა აფხაზეთის საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული პირების პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში ძალების არგაყენების შემთხვევაში, მამუკა გიორგაძემ განაცხადა: „თუ ისინი ვერ გაართმევენ თავს ჯარების გაყენებას და აფხაზეთის დაბრუნებას, ცხადია, მათ მოუწევთ თანამდებობების დატოვება. სწორედ ესაა საგანგებო სესიის მოწვევის ერთ-ერთი მთავარი თემა, რომ თითოეული ადამიანის ქმედება შეფასდეს მისი ძირითადი საქმიანობის მიხედვით“. ამ შემთხვევაში გიორგაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა პრეზიდენტიდან უნდა დაიწყო.

თურქი მალა ხსინჯალის მოსახლეობას ბუნებრივი გაზი მიწოდება

სამხრეთ ოსეთის მთავრობამ გუშინ ჩაატარა გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილა მოსახლეობის ბუნებრივი გაზითა და ელექტროენერჯით მომარაგების საკითხი.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უზრუნველყოს ქალაქი და გაზი ეტაპობრივად მიწოდოს მოსახლეობას. გამონახა სახსრები გაზსადენის დაზიანებული მონაკვეთების აღსადგენად. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის გაზის მიწოდებას საქართველოს მთავრობა ახორციელებს და შესაბამისად, დახარჯული გაზის საფასური საქართველოს ცენტრალურ ბოჟფეტში ჩაირიცხება.

ბისეთის გაზის მიწოდებით მრავალ სხვა საკითხთან ერთად ეკოლოგიური პრობლემაც მოიხსენება. ბოლო 5 წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად გაიშენა ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გამწვანება და ტყე-პარკები. ცხინვალში 4 კუბური მეტრი შეშა 1 მილიონ რუბლს (175 დოლარი) ღირს.

აფხაზეთიდან დევნილი ხალისუფლებების ნარკომალგანელი საქართველოს კონფიდენციალური პრობლემის ვერ გაღწევის

აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გია გვაზაია თელის, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ინტენსივობა იზრდება, ანუ კონფლიქტის ზონაში სხვა ქვეყნის კონტინგენტის შეყვანა ვერ გამოიღებს დადებით შედეგს.

ბი ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე სერიოზულ ნაბიჯებს დგამს რუსეთის ჯარების შესაცვლელად გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო კონტინგენტი.

გია გვაზაიამ გააკრიტიკა „დათმობის“ პოლიტიკა, რომელსაც თბილისი ატარებს აფაზეთთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ „ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია“ 26 ივლისის უშედეგოდ დასრულებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომელიც გაეროს ეგიდით მიმდინარეობდა.

საქართველომ რამდენიმეჯერ დააფიქსირა, რომ მომხრეა კონფლიქტის მშვიდობიან გზით მოგვარებისა. მაგრამ არსებობს მშვიდობაზე დიდი ღირებულებები - თავისუფლება და დამოუკიდებლობა, - თქვა გია გვაზაიამ.

დაპირიბები გაუფასურდა, დათმობის პოლიტიკა ისევ ბრძანება

„ვერ გამოვია „ამირან“ ამ გამარჯვების ნიშანი ბოლოს ხომ იქვე მოვედით ხადაც დაეკაროთ ისარი“.

ხალხური მეოთხე წელია, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის კონფლიქტის დაბრუნებაში დაბრუნდა და ჩვენს, ერთიან ქართულ სურვილსაც - ადგეს საქართველოს მთლიანობა - თან ატარებს. რაც დრო გადის, თანდათან ძნელი ხდება ამ დაბრუნებაში ქართველთა ცნობიერების შეთრევა და მისი მანიპულირება. უკვე აღარაფრის გვევლინება, თუმცა დემოკრატია და ხელისუფლების ტყუილ ვაი-ვაგლას განდგომილი ვადგენთ თვალყურს ოპოზიციის პროტესტები და აქციები მათ პოლიტიკურ დევიდენდებს თუ ამყარებს, თორემ მოსახლეობას გულსკარეთაც არ ხედება ხოლო ამ ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებისაგან გადადგმული ნაბიჯები, განცხადებები, დადგენილებები და მოლაპარაკებები გატრილი ვაშლივით ისე ჰგავს ერთმანეთს და იმდენად პრიმიტიულია დადგმული, რომ უბრალოდ გულიც დაგწყდება, რამდენად გულუბრყვილოებად გვეთლიან.

პარლამენტის მესვეურები, რუსეთის სამშვიდობო ძალების სრული უკონტროლობა და მათგან აფხაზეთის სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდებისათვის აშკარა თანადგომა მოჰყვა არც გასულ კვირას შეხვედრის მოლაპარაკებებს მოუტანია რამე შედეგი, მასზე არმინამაც კი არ იკადრა წასვლა პოზიციის დაოქსირების შემდეგ კი აფხაზეთში შეხვედრა ჩაშალეს რა მოეგო? ჩვენ არაფერი, უბრალოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავისი მცდელობა დააფიქსირეს და აქტივში ჩართულეს სანამდე უნდა გავრძელებდეს ეს უნიჭო სპექტაკლი, ბოლო არ უნდა. ახლა საქართველოს პრეზიდენტის ამერიკულ მოგზაურობასაც გადავხედოთ. დღეს მას რატომაც ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა გაუგებარია რატომ დაეისთეს (დღე მოდამა საქართველოს ოფიციალური ეს ტერმინი იგი ყველა კონტექსტში და ბრუნვაში იმხარება და ასეთი ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილს, მნიშვნელობაც დაკარგული აქვს? თუ ეკონომიკურ გაროვებს არ შეეხებოდა, პრეზიდენტის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი პოზიცია დაეფიქსირა და დასაუფლოდელი მეგობრებისაგან: პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მოხვდა წყაურტი დსთ-ში გაწვევების გამო. დიპლომატიურ თიფლ სიტყვებსა, ტაშის გრილსა და ამერიკულ ლიმონს სადამ პოზიციასაც გამოიხდა. დსთ საერთაშორისო გაერთიანება, საქართველო მისი წევრია და პრობლემებიც შიგნით უნდა გადაწყდეს. თუ ვერ აგვარებთ, მაშინ დსთ-ში უნდა მოგზაურობის და არა ცალკე საქართველომ. თავის დროზე კი, სოხუმის დაცემის შემდეგ, ქართულმა პოლიტიკამ დსთ-ში შესვლა ისტორიულ აუცილებლობად. ისტორიულ გადაწყვეტილებად და ერთადერთ სწორ ნაბიჯად მიიჩნია ბევრი ახლაც ასე ფიქრობს ქართული პოლიტიკის მადამ თუ გარე უშედეგებში, მაგრამ ეს სხვა თემაა და ჩვენ ისევ ექსთენიან ციკლს დაუბრუნდეთ.

ყოველ ექვს თვეში ქართველი პოლიტიკოსები თავის პოზიციას აფიქსირებენ აფხაზეთის პრობლემის ორგანიზაციის პარლამენტის უმრავლესობას და უზრუნველნი მისი გადაჭრა პოლიტიკური მეოთხედით მიანიჩა რეალურად. ხოლო თამაზ ნადავროშვილი ძალისმიერად გადაწყვეტის აუცილებლობას ქადაგებს. ვარდიკო დუმს, უშიშროება (ხელმძღვანელით, ან მის გარეშე) მზადაა 24 საათში ფსოზე გადვიდეს. შესს და კახა თარგამაძეც თანამანი არიან, თუ ბრძანება ხევიდან წამოვა.

ყოველ ექვს თვეში ოპოზიცია არათუ სამშვიდობო ძალების, არამედ რუსეთის ჯარებისა და ბაზების საქართველოს მთელი ტერიტორიიდან გაყენას მოითხოვს. და ბოლოს, ყოველ ექვს თვეში საქართველოს პრეზიდენტი ვერ უარდ შევარდნაზე თავის ავტორიტეტულ პოზიციას აუწყებს ყველას და ყველაც, სხვადასხვა ვარიაციებით, აქტიურად იწყებს მტკიცებას „ლოდინის და ახალი რეაღვივების“ შესახებ. და ყოველი ექვსი თვე რუსეთის სამშვიდობო ძალები აგრძელებენ აფხაზეთის ტერიტორიის ძარცვა-გაპარტახებას, აფხაზეთი აგრძელებენ დარჩენილ ქართველების ტერორს და ტყვეების გაცვლას, ქართველები აგრძელებენ ლოდინს და ენგურზე აქეთ-იქეთ, საკმაოდ ძვირადღირებულ მისვლა-მოსვლას რამდენიმე დღეა დადგა 31 ივლისამდე წინ რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის განახლების პერსპექტივა გაექვს და ჩვენი ხელისუფლების ახალი „ისტორიული ნაბიჯები“.

მანანა იაშვილი

დისკუსია: საით მიდის საქართველო?

ბატონ ალ.ჭაჭიას პასუხაა

ბ-ნი ჰაპინი კატეგორიულად არ ეთანხმება ჩემს სიტყვებს, რომ დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს ჩვენთან „საერთო აქტო რელიგია, მნიშვნელოვანწილად - კულტურა ამ სიტყვის ფართო აზრით, სულიერი და გონებრივი წყობა (ანუ მენტალიტეტი) და ისტორიული ტრადიცია“, და ქრისტიანობაში სხვადასხვა აღმსარებლობათა არსებობიდან უმართულოდ ასკვნის, რომ სულისკვეთებასა და მსოფლმხედველობას ზოგი არსებითი მახასიათებელი (ხელგაშედილობა, მგრძობიარობის აღმატებული რაციონალიზმი, კოლექტივიზმი, კაცთმოყვარეობა მართლმადიდებლობაში, ინდივიდუალიზმი, რაციონალიზმი, უდმობული კონკურენტული ბრძოლის უნარი პროტესტანტიზმში და სხვ.) მართლმადიდებლობასთან (პროტესტანტიზმში) გაცილებით უფრო ახლოა ისლამი, რომელიც ძირითადად ანალოგიურ აღმოსავლური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს ეფუძნება. კერძოდ და კონკრეტულად, პროტესტანტული მსოფლმხედვე და მსოფლშეგრძნება - და, შესაბამისად, მისი კულტურა, რომელსაც დღეს ანგლოსაქსური სამყარო ასახიერებს, - ხასიათდება ინდივიდუალიზმით, მართლმადიდებლობა და ისლამი კი - კოლექტივიზმით (ციტატები არ მომეცა, მაგრამ მისი აზრის გადმოცემაში მე გონია, ბატონი ჭაჭია არ შემეკამათება. არ გახლავთ სწორი! ამ შემთხვევაში ბატონ ალ.ჭაჭიას თვით ფაქტებში ეშლება და არა მხოლოდ პრინციპებში, სახელდობრ შემდეგში:

ინდივიდუალიზმი ამ სიტყვის ყველაზე ღრმა და რადიკალური აზრით - ანუ კერძო ადამიანის, როგორც პიროვნების, უსასრულო ღირებულების აღიარება კაცობრიობის ისტორიაში ქრისტიანობამ შემოიტანა და დაამკვიდრა და არა მისმა რამელიმე ერთმა აღმსარებლობამ სიტყვებით „რაც სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ ყოველი სოფელი შეიძინოს და სული თვისი იხლეოს?“ ქრისტეს ეკუთვნის და არა მის მიერ დაფუძნებული რელიგიის რომელსაღმადმამოცილს მასვე ეკუთვნის მთის ქადაგება (მათ, თავები 5-7). ჰეგელის ცნობილი სქემით, ძველმა სამყარომ იცოდა, რომ მხოლოდ ერთი კაცი იყო თავისუფალი (შაჰი, ფარაონი, ჩინეთის იმპერატორი და ა.შ.), ანტიკამ - რომ თავისუფალი იყო ყველა გარდა მონებისა, და მხოლოდ ახალმა დრომ - ქრისტიანულ-გერმანულმა სამყარომ (წაიკითხეთ ქრისტიანულ-ევროპულმა სამყარომ) შეიმეცნა, რომ თავისუფალია ყველა ადამიანი უკლებლად, ანუ ადამიანი როგორც ასეთი. თავისუფლება ადამიანური ბუნების მხოლოდ ერთ-ერთი პარამეტრია და სრულებითაც არ ამოწურავს ამ უკანასკნელის მთელ სიმდიდრეს. ყოველი ადამიანი თავისი სამყაროს ცენტრია, თავისი სამყაროს არსებობის პირობაა და, ამგვარად, ყოველი ადამიანის სიკვდილით ან თუნდაც მისი ადამიანობის რადიკალური შეურაცხყოფითა და უგულვებლყოფით ინგრევა მთელი ერთი სამყარო, რომლის ცენტრიც იგი არის. ვიშოვბ, ბატონმა ალ.ჭაჭიამ ეს მსჯელობა „მსოფლმხედველობად“ არ ჩამომართავს და ამიტომ მას უხეში ფაქტი შეემატრება. დღეს მთელ ცივილიზებულსა და ნახევარცივილიზებულ მსოფლიოში ყველა ადამიანის სიცოცხლე კანონის წინაშე ერთნაირად ფასობს - მიხრწნილი მათხოვრით დაწყებული და

ბული და ჯანდონით საესე სპორტსმენით, ახალგაზრდა მზეთუნახავით თუ გენიალური მეცნიერით დამთავრებული. ეს ნორმა მსოფლიოს უკარნახა კაცობრიობის მოწინავე ქრისტიანულმა ნაწილმა, რომელსაც ადამიანობა ამ ოცი საუკუნის წინ - პრინციპულად - ქრისტეს ქადაგებამ და მაგალითმა ასწავლა.

რაც შეეხება პროტესტანტიზმს, მან ინდივიდუალური ადამიანის უსასრულო ღირებულების პრინციპი კი არ აღმოაჩინა და დაამკვიდრა, არამედ მკვეთრად გაზარდა ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის ხარისხი დეთის წინაშე და, ამდენად, ადამიანის, როგორც მრევლის წევრისა და მორწმუნის, ღამომშობილობის ხარისხი ორგანიზებული ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, ფონზე მდებდის, როგორც დეთისა და მორწმუნის შუამავლის, როლის შემცირებამ და, შესაბამისად, თვით მორწმუნის ზნობრივი ტვირთისა და უფლებამოსილების გადიდება, ცხადია, ხელი შეუწყო ადამიანის ჩადრმავებას საკუთარ თავში და, შესაბამისად, მისი შემოქმედებით პროტესტანტის თაბისუფლად გაშლას. მაგრამ თუ ბ-ნი ჭაჭია ფიქრობს, რომ სწრაფი სამრეწველო აღმავლობა XVI-XVIII საუკუნეთა ევროპის რეგეგმებში ამ წმინდა-რელიგიურმა სიხალემ გამოიწვია, მას ძნელად თუ ენმე დაეთანხმება. შრომისადმი დამოკიდებულებას და შრომაში უნარიანობას უამრავი სხვა, გენეტიკითა და ტრადიციით განსაზღვრული მიზეზებიც აქვს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ როცა სეროზული სოციოლოგები ჰოლანდიისა და იაპონიის ეკონომიკურ წარმატებაზე მსჯელობენ, ამ წარმატების ფაქტორად ამ ხალხთა ტრადიციულ შრომისმოყვარეობასაც ასახელებენ.

ახლა მთავარი კითხვა დავსვით: არის საქართველო იმ „ქრისტიანულ-ევროპული სამყაროს“ წევრი? ბატონი ალ.ჭაჭია ფიქრობს, რომ არ არის უფრო მეტიც, იგი ფიქრობს, რომ ჩვენ - ტიპური მართლმადიდებლები - რადიკალურად განესხვავდებით ამ სამყაროსგან (კერძოდ, დღეს ტექნოლოგიურად ყველაზე მოწინავესა და ინდივიდუალისტ ანგლოსაქსური სამყაროსგან) და მისი აყოლა კატასტროფას მოგვცნის. უნდა ვთქვა - რაც უნდა უცხოელ ეჩვენოს ბატონ ალ.ჭაჭიას ეს კონსტატაცია დღეს - რომ საქართველო ამ სამყაროს მშობნის. საქართველო ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა და ამის ობიექტური მაჩვენებელია ქართული ბულტარის დასავლური ხასიათი. მე ვერ შევთავაზებ ჩემს მოკამათეს ყველა იმ მახასიათებლების ჩამონათვალს, რომლებიც დასავლური (ტიპის) კულტურის ცნებაში იგულისხმება, რადგან მათი სისტემა თავის მთლიანობაში მხოლოდ ამ კულტურის მიუღი ნაგებობის მრავალწლიანი ხედვითა და განცდით შეიმეცნება და კონსექტური სიდიდან, რაცინდ სრული იყოს იგი, ამ კულტურის რაობას ვერ ამოკითხავენ მაგრამ დაუასახელებ სისევე და ისევე იმის

შიშით, რომ ჩემი მსჯელობა ჩემს „მსოფლმხედველობას“ მიეწერება რამდენსამე ფაქტს, რომლითაც, მე გონი, ბატონი ალ.ჭაჭია დარწმუნდება, რომ ეს მსჯელობა ფუჭი ფანტაზია არაა.

პირველი ფაქტი რაინდობა და მასთან დაკავშირებული ქალის კულტი, როგორც სოციალური მოვლენა, - ეს ორგანული შენაერთი ელიტარობისა, სამხედრო ქველბობის კულტისა, მტკიცედ მიღებული ნორმისა, რომ კეთილი საქმის ქმნა მოვალეობაა, და აგრეთვე ნორმის რანგში აყვანილი წესისა, რომ სატრფოს საგმირო საქმით უნდა ემსახუროთ, და არა მხოლოდ მის კერძო ინტერესთა დაგით (მდრ. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ეპიზოდები - მხოლოდ დასაბამით მკრძახსა და საბარბაშოში არსებობდა, მაგრამ არსად სხვაგან. რატომ? იმიტომ, ჯერ ერთი, რომ დასავლეთი ევროპა და საქართველო ფეოდალიზმის კლასიკური ქვეყნებია, ხოლო ფეოდალიზმის შექმნა, ჭაველად აღმოსავლური დესპოტიზმის (როგორც იყო ირანი, თურქეთი, თვით ჩინეთიც კი) ობიექტურ პირობებთან ერთად ხალხის მენტალიტეტისა და ტრადიციის გარკვეულ კონკრეტულ მახასიათებლებსაც გულისხმობს. მეორე, იმიტომ, რომ ეს ფეოდალური საზოგადოება ღრმა ქრისტიანული კულტურის მატარებელი იყო (რომელშიც, როგორც ვთქვით, ადამიანის პიროვნება უსასრულო ღირებულებად იყო აღიარებული და, შესაბამისად, მის ყველა სულსძერასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა). საკმარისი იყო ამ ქრისტიანულ ფეოდალურ კულტურებში ქალისადმი სიყვარულის აღმოსავლურ მოტივთა თესლი ჩაყვრნილიყო (ევროპაში - არაბული პოეზიიდან, საქართველოში - სპარსულიდან), რომ მისი აღმოცენება და განვითარება ქალის ზემოხსენებული რანდული კულტის შექმნისკენ წარმართულიყო.

მეორე ფაქტი: ნიკოლოზ ბარათაშვილი მკაფიოდ გამოხატული რომანტიკოსი პოეტია - ერთ-ერთი უდიდესი პოეტი რომანტიკოსთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცოდა ან სუსტად იცოდა) ფრანგული და სხვა ევროპული ენები და, შეიძლება ითქვას, თავის თანამედროვე ევროპული ლიტერატურასთან დალიან მკორედი შეხება თუ ჰქონდა, საკმარისი იყო მას რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, ოდნავი სული სცემოდა, რომელიც ეპოქის ზოგადკულტურულ ატმოსფეროში იყო გაბნეული, და მისი სული წამსვე გამოეხმაურა ამ განწყობილებასაც და ამ პრობლემატუკასაც, რადგან მისი მშობლიური კულტურული სტიქია იგივე იყო, რაც ევროპელებისა. არც ერთ მუსლიმანურ ქვეყანაში, თვით უდიდესი პოეტური ტრადიციის მქონე სპარსეთშიც კი, რომანტიზმის ნახახი არ ყოფილა.

მესამე მაგალითი. ევროპული „fin de siecle-ის“ („საუკუნის დასასრულის“) ანუ დეკადანსის კულტურა აღმოსავლეთის ისლ-

ამური ქვეყნების ლიტერატურას არ გააკარებია. საქართველოში ამ მოვლენამ, როგორც ქრისტიანული ჰუმანიტური კულტურის კრიზისის განცდამ, XIX საუკუნის დამლევდიან ჩვენი საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე პოეზისა და მხატვრული პროზის ძირითადი საფუძველი შეადგინა (ტაბიძე და სხვანი). მიზეზი ნათელია: ის ჰუმანიტური ქრისტიანული კულტურა ისევე იყო ქართული ერის სულიერი ცხოვრების ძირითადი განმსაზღვრელი, როგორც ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის ევროპული ერებისა, და მისი კრიზისიც ქართულმა პოეზიამ განიცადა როგორც მსოფლიო კრიზისი და ამავე დროს როგორც საკუთარი კრიზისი.

თუ ბატონი ალ.ჭაჭია ამ უხეშ ფაქტებსაც ამისხნის ქართული კულტურის - და, მასთან-დაშეკრული მენტალიტეტის - დასავლურების ფაქტორის მოუშედეგებლად, მე მის სიმართლეს ვაღიარებ. მაგრამ ვერ ამისხნის ასე რომ, აზრი, თითქოს ქართული მენტალიტეტი თავისი ტიპოლოგიით არდასავლური, უფრო მეტიც - დასავლურისაგან კონტრასტულად განსხვავებული მენტალიტეტი, მაპატიეთ, ძალიან ზერულე აზრი გახლავთ.

ისევე ჩემთან კამათის პროცესში ბატალ.ჭაჭია ხატავს თანამედროვე დასავლური (ძირითადად, ანგლოსაქსური) ეკონომიკურად ძლევამოსილი ცივილიზაციისა და კულტურის ფრიად არასიმპათიურ სურათს და ამაში უმიძიებს შეცდომას - სახელდობრ, მმთოდლომბიშ შეცდომას სჩადის. სახელდობრ, თავისი ობიექტისადმი მიდგომაში იგი კმაყოფილდება ახსნის მეთოდით, რომელიც უკმარისია მაშინ, როცა საქმე ეხება არა ნატურის (ზუნების), არამედ კულტურის (ანუ ადამიანებისა და მათი ერთობლიობის მიერ შექმნილის) სფეროს. რადგან კულტურის სფეროში მოქმედებს არა მხოლოდ მიზეზები, არამედ მიზეზებიც (შეგნებული და შეუგნებელი) და ამ მიზანთა შემცნებას სჭირდება არა ახსნა, არამედ ე.წ. ბაბმბა ანუ იმის თვალსაზრისზე დადგომა და იმის ტყვეში ჩასვლა (იმის მონიშნავის ამოხსნა). ვინც ამ შემთხვევაში მოქმედის როლში გამოდის. ეს იმიტომ, რომ ადამიანი, პიროვნება ე.წ. ტელეოლოგიური სტრუქტურის მქონე, ანუ თავის მიერვე დასახულ მიზანზე აგებული არსება გახლავთ, და არა მხოლოდ მიზეზებით მოქმედი, როგორცაა კენჭი, ქიმიური ნაერთი, პლანეტა ან გალაკტიკა. ბატონი ალ.ჭაჭია წერს, რომ თანამედროვე ამერიკული კინოპროდუქციის მთავარი გმირი ძაღადლობაში დაოსტატებული და მოხეჭისკენ მისწრაფე უღმობელი სუპერმენია. დიახ, მართალია. იგი წერს, რომ ჰაიკის (უდიდესად აგორიტეტული შემოქმედი თეორეტიკოსის) დახასიათებით ეკონომიკური და სოციალური ევოლუციის მიმართული „მოითხოვს“ ადამიანის ამ ახლებური ტიპის ჩამოყალიბებას დიახ, მონიშნავს. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ ამერიკელებს მოსწონთ თავისი

კინოპროდუქციის ეს სტატუსიკა (რომ კაცობრიობა ახრელებს და შეარულებს) ობიექტური კრიტიკის შემთხვევით მოხიონან? არ ნიშნავს! კაცობრიობა ცნობიერად, არაცნობიერად თუ ქვეცნობიერად არეგულირებს თავისი განვითარების მიმართულებას თავისი ლირმშულობისტემის და მასზე დამყარებული მიზნების მიხედვით ისევე ფაქტებს მიემართოთ ის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში წარმატებისათვის საჭირო თვისებათა ჩამონათვალად და ადამიანის ღირსების დაუწერელი კოდექსით მოთხოვნილ თვისებათა ჩამონათვალად ერთმანეთს არ ემთხვევა, ჯერ კიდევ შექპირმა იცოდა რხ. მისი „ჰამლეტი“. მაგრამ მას შემდეგ კაცობრიობის განვითარება ჰუმანიზაციისკენ მიდის თუ დეჰუმანიზაციისკენ? აიკრძალა თუ არა კაცობრიობა, მონათავტობა, მოვალის ციხეში ჩასმა, ადამიანის მიერ თავის თავის დაჯირავება, პატიმროს წამება გამოძიების პროცესში? დიახ, აიკრძალა და კიდევ ბევრი რამის აკრძალვის პროცესი მიმდინარეობს ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, ასე თუ ისე, ბაბმბას თავისი ცხოვრების წესს და მისი შეხედულება იმაზე, თუ რა არის უკეთესი, ისტორიის რეალური ფაქტორია.

ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, სხვაგვარად დგება ქართველ ხალხში მიღებული მეზობლური, მეგობრული, ნათესაური თუ, შტრალოდ, ადამიანთშორისი თანადგომის, დახმარების, ურთიერთდახლევიის იმ ტრადიციის შეფასების საკითხიც, რომელსაც ბ-ნი ალ.ჭაჭია კოლექტივიზმის (იგი საბედნიეროდ არ ხმარობს გამოთქმას „ჯოჯოური კოლექტივიზმის“) ელემენტად თვლის. როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მეტყველებენ, იგი რუდიმენტული არ ყოფილა, არამედ, მართალია, მძიმე საუკუნეთა სიღრმეიდან მომდინარე, მაგრამ მაინც ბან-პიტარმბის გენერალური ხახის შესაბამისი მოვლენა. ამიტომაცაა (ისევე ფაქტებს მიემართოთ, რომ თბილისში უკვე რამდენიმე თვის ან წლის მანძილზე ჩამოხმდარი არაერთი დასავლელი, რომლებიც სამართლიანად აყენებენ თავის თავს ჩვენზე მაღლა იმ მხრივ, რომ თავისუფალი ეკონომიკაში ჩვენზე კარგად ერკვევიან, ჩვენზე კარგი ტექნოლოგიები აქვთ და ციხეებში წამების არსებობას არ უროგდებთან თავიანთ ქვეყნებში, ჩვენს ერის ზემოხსენებულ ტრადიციის intense relations - (ინტენსიური პიროვნული ურთიერთობა) - მოწიწებით შესცქერიან და მას ჩვენ უპირატესობად გვიფიქვან და ამ შემთხვევაშიც მართლდინარიან, რადგან ეს ტრადიციები პიროვნებებზე ჩამოყალიბებულ ინდივიდთა თანაცხოვრების კულტურის ელემენტია, რომელსაც ზრდა და განვითარება უწერია.

დასასრულ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და წყენს თუ მასთან დაუკავშირებლად) გამოთქვა ჩემი დიდი კმაყოფილება გაბ. „საქართველოში“ ბატონ ალ.ჭაჭიას ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო. თუმცა საქართველოს ხელისუფლების კურსის შეფასებაში დღეს ყველა გონიერ მოქალაქე ერთ პოზიციასზე დგას (და ამ მხრივ ბ-ნი ალ.ჭაჭიას მოსაზრებები ორიგინალური არ არის), მისი წერილების სლდიური ინფორმაციული ბაზა და ღრმა ანალიტიკურობა დიდი დახმარებაა ერისათვის მის დღევანდელ განსაცდელში.

მოკლედ - უძრავობა იყო!

ფილიპ ბოზკოვი



დავბრუნდეთ ე.წ. "უძრავობის პერიოდს". ხალხში იზრდებოდა ბრუნვის გარემოების მიმართ უკმაყოფილება, ჩვენი წყობის კრიტიკა, გენერალური მდივნის უსასრულო დაჯილდოებების ირონიული ინტერპრეტაციები, აღშფოთება მექრთამეობის გამო. იგივე აზრები იყო გამოვლენილი სკკპ ცკ-სა და სხვა ცენტრალურ ორგანოებში. რამდენი სარკაზმი იყო ბრუნვის წიგნების გარეგანობაში! სხვათა შორის, პირადად ჩემში ამ წიგნებს არაერთი უარყოფითი რეაქცია არ გამოუწვევია. სხვათა შორის, იგი ანდროპოვი არ დაეწრო ამ წიგნის საკომიტეტო განხილვას, არ მოინდომა ასეთ მდიქნელობაში მონაწილეობის მიღება.

საქმე წიგნებს არ ეხებოდა. ყველაფერი გაცილებით უფრო სერიოზულად იყო. ბევრს ესმოდა ჩვენს წინ არსებული სიძნელებები, მაგრამ არავის არ ჰყოფნიდა მისი გამბედაობა, რომ თავის თავზე აეღო ლიდერის როლი. ანკოსოვის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პროექტის ჩაგდება ბრუნვის გარემოების მიერ, მრავალთა ინიციატივა "ცოცხლად დამარხა".

რა ძელი იყო ამ წლებში რამე ახლის დანერგვა? აი, ტიპური მაგალითი ქვეყანაში შეიქმნა იტალიაში წარმოება, რომელიც უცხოური ვიდუო მასალების კომბინირება და ადაპტაცია იყო დაკავშირებული, მას დაერქვა ვიდუო-ინჟინერია.

ამ სახის დანაშაულებებთან ბრძოლის მიზნით უშიშროების კომიტეტმა დასვა საკითხი სამამულო ვიდუო-ინჟინერებისა და ვიდუო-ინჟინერების წარმოების შესახებ. ცხადი იყო, რომ ვიდუო-ინჟინერის წარმოებას გვერდს მაინც ვერ აუვლიდით.

სკკპ ცკ-მ შექმნა კომისია მ.გ.ნიმინის თაემჯდომარეობით. კომისია რამდენჯერმე შეიკრიბა და ყოველთვის უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა. ჩვენ ეს არ გვეჭირებოდა. დაე, საბაჟო და მესაზღვრეებმა გააკეთონ ყველაფერი, რათა ეს პროდუქცია ჩვენთან არ შემოვიდეს. ასეთი იყო საერთო, და მათ შორის კავშირგაბმულობის მინისტრის ვ.ა.შამშინის აზრი, ისევე როგორც კულტურის-მინისტრის ვ.ა.ბოლოვი და სახტელურადიოს თაემჯდომარის ს.კლავსინის შეხედულება. მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ.მ.კორნიენკომ

გაიგო ეს საკითხი სწორად. გაეიდა ორი წელი. ი.ვანდროპოვის სკკპ ცკ-ს მდივნად არჩევის მთელი დღეები ზინიანი კვლავ შეკრიბა კომისია. ამჯერად, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიიღეს გადაწყვეტილება: ვიდუო-ინჟინერის საკითხი გადაეცეს მინისტრთა საბჭოს.

მაგრამ არც იქ გადაწყდა საკითხი ადვილად. აღარ მინდა მთელი ჩინოვნიკური მოქმედების სიუჟეტის გახსენება. უბრალოდ არაფერ არ უნდოდა საქმისათვის ხელი მოეკლდა მოკლედ, - უძრავობა იყო!

იური ვლადიმერის-ძე ზრუნავდა ახალ სამმართველოზე, მას ის თავის შეიღობილად მიაჩნდა. მას ისეთი აპარატის ჩამოყალიბება უნდოდა, რომელიც მოეხდინათ პრობლემატიკის შექმნა. თუმცა ცკ ჩვენთვის მნიშვნელოვან ზღუდეს წარმოადგენდა.

ანდროპოვი მოითხოვდა, რომ მუშაობის პროცესში ხალხს არ მოეცილებოდათ იგი ძალზე ყურადღებიანი იყო ადამიანების მიმართ, მიუხედავად მათი შეხედულებებისა. იგი შეგუებული იყო სხვაგვარად მოაზროვნეთა არსებობას მხოლოდ ამას ძირკამომთხრელი საქმინაობა არ უნდა მოჰყოლოდა.

მას, მთელი თავისი თაემჯდომარეობის პერიოდში არცერთი დასკვნების დღე არ ჰქონია. იგი მთელი დატვირთვით მუშაობდა ყოველდღე.

მისი სამუშაო არ იყო იოლი! მისი მოადგილეები იყვნენ ხალხი, რომლებიც ბრუნვებში დასვა: ს.კ.ცვიკოვი, გ.კ.კინევი და სხვები. ანდროპოვის ზურგს უკან ისინი ბრუნვებს უბრალოდ ინფორმაციას უფრო ხშირად ტენდენციურს, რაც გენერალურ მდივანს აღიზიანებდა. იური ვლადიმერის ძეს ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ ძალზე ბევრი საქმე ჰქონდა და მათთვის ვერ იცლიდა.

ანდროპოვი ორგანოებში 50 წლის ასაკში მოვიდა. ჩემი აზრით, ძველი რევოლუციონერების საუკეთესო თვისებები გამოჰყვა მემკვიდრეობაში. მისთვის ძალზე მძიმე ასატანი იყო, რომ ისინი ვინც კომუნისტურ იდეალებს უნდა იცავდნენ, სინამდვილეში მის დისკრედიტაციას უწყობდნენ ხელს როდესაც დღევანდელ პრესაში მისი არასაკმარისი განათლების შესახებ სულელური ცნობები გაივლიდა ხოლმე, ეს ძალიან დიდად მაშფოთებს. იგი ბევრს კითხულობდა, უყვარდა მუსიკა, ლექსებს წერდა. იგი ყველანაირ

საქმეში იღებდა მონაწილეობას და არსად დილექტანტის შთაბეჭდილება არ დაუტოვია.

ანდროპოვი არ აკრიტიკებდა თავის წინამორბედებს. მე არასდროს გამოვინახე მისგან სემიონასტის ან შელეპინის მიმართ კრიტიკული გამოხატულება, თუმცა იგი კარგად ხედავდა მათ შეცდომებს. მისთვის მთავარი დღევანდელი დღე იყო. მას ბევრჯერ დაუსაბუთებია ბრუნვისათვის, რომ საჭირო იყო ყოველივე კარგის შენარჩუნება, რაც ხრუსოვის მმართველობის დროს იყო. არის დღევანდელი დღის ნიშანი - ამბობდა იგი, - არის ახლანდელი დროის განსაზღვრული დონე, მოდით მივყევთ ამ ნიშანს.

ანდროპოვის ავტორიტეტი არა მარტო უშიშროებაში, არამედ სხვა სტრატეგიაშიც მაღალი იყო. როდესაც იგი აირჩიეს ცკ-ს გენერალურ მდივნად, ყველას გაუხარდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სუკის თაემჯდომარედ მუშაობდა. მისადმი კეთილი დამოკიდებულება ხალხს დღესაც არ დაუკარგავს.

საინფორმაცია და დაზღვევა

მოლაღატეობის სიმწარეც ვიწვინე. 1964 წელს შენეიდან სამშობლოში არ დაბრუნდა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იური ნოსენკო.

იგი იყო „ქრის თაობის“ ტიპური წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირის გეომშენებლობის მინისტრის შეილი. მამამისის ფერფლი კრემლის კედელში იყო დაკრძალული. ნოსენკომ თავს იმის უფლება მისცა, რასაც რიგითი ოფიცირიც კი არ იკადრებდა. იგი კამპანიის ადამიანი გახლდათ, თავისი მდგომარეობით არ ყოფილობდა, მაგრამ თავს გარკვეული თავისუფლების ღირსად თვლიდა. მის ირგვლივ თანატოლების ჯგუფმა მოიყარა თავი. ზოგიერთები კი ძალიან დაუახლოვდნენ, რათა რამე სარგებლობა ენახათ მისგან. ნოსენკო ბევრს ეხმარებოდა, მაგრამ „ამის აჩრდილი“ დიდ გაუღენას ახდენდა მის კარიერაზე. მე მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა - არაერთი დამოკ-

იდებულება ან სარგებლობა - ისიც, ჩემი აზრით, აფასებდა ამას.

1963 წლის ბოლოს ნოსენკო გაემგზავრა საზღვარგარეთულ მივლინებაში სერიოზული ოპერატიული დავალებით.

ის განყოფილება, სადაც იგი მუშაობდა, ჩემს განკარგულებაში იყო. ნოსენკო შემოდიოდა ჩემთან, რჩევას მეკითხებოდა, ერთხელ თავისი გაჭირვებაც გამიზიარა - მისი ქალიშვილი მიიმეღ ავად იყო - და მითხრა, რომ მას იმედი აქვს, შენეაში იქნებ საჭირო წამალი იშოვოს სამ ფრანს მოეჭიდნენ ისინი, ვისაც უშიშროების თანამშრომლების დადანაშაულება უნდოდა მომხდარ ამბავში.

ერთი სიტყვით, მე და ნოსენკო ერთმანეთს დავცილდით, როგორც კეთილი კოლეგები.

რატომ არ დაბრუნდა ნოსენკო? ეჭვი არ არის, მისმა ახლობლებმა ყველაფერი უკეთესად იციან. მე კი დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ იგი აღმოჩნდა გამოუყვალ, შესაძლებელია, სპეციალურად მოწყობილ სიტუაციაში და ვეღარ გაუძლო. რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემთვის ამგვარი ქვევა გაუგებარია, რადგანაც ვიცი, როგორ უყვარდა მას თავისი ქალიშვილი, როგორ განიცდიდა მის ავადმყოფობას. შეუძლებელია ასე ადვილად მიეტოვებინა თავისი ოჯახი. შესაძლებელია მას სიკვდილითაც დაემუქრნენ. ასეთი დასკვნისათვის საკმარის საფუძველს არსებობდა.

ნოსენკოს კარგი ურთიერთობები სპეციალური კონტრდაზვერვის უფროს ომგრიბანოვთან, რომელიც ორი დღის შემდეგ აპირებდა შენეაში ჩასვლას, სადაც ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. ნოსენკოს რომ ეს ყველაფერი შეგნებულად გაეკეთებინა, დასაველეთის სპეცსამსახურები ადვილად შეძლებდნენ გრობანოვის გაბმასაც. როგორი საქმეა კონტრდაზვერვის უფროსის ხელში ჩაგდება, ამაზე ხომ მთელი დასაველეთის სპეცსამსახურები იცნებობენ? რა თქმა უნდა, ისინი ხელიდან არ გაუშვებდნენ ასეთ შემთხვევას ამიტომაც ვფიქრობ, რომ აქ ისე არ იყო ყველაფერი, როგორც ფიქრობდნენ.

ბაბრძევაშვილი შეამფხვ ნოსენკო



საქართველო
საქართველო
როკის გვირაბით
მიმავალი სპირტით
დაგვირგვინი
ავტორი

27 ივლისს, გამთენიისას, როკის უღელტეხილის ჩრდილო პორტალის რიონში რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოდან ჩრდილო ოსეთში მიმავალი სპირტით დატვირთული ავტოკოლონა. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტს საქართველოს საზღვრის დეპარტამენტში აცნობეს.

ავტოკოლონის საერთო რაოდენობა 150-ს შეადგენდა. მესაზღვრეთა შეფასებით, ტვირთის საერთო ღირებულება რამოდენიმე ათეული მილიონი დოლარია. მიუხედავად იმისა, რომ ავტოკოლონის დაცვამ სცადა მესაზღვრეთა მოსყიდვა და შეაძლია 1 მლნ. \$ ტვირთი საქართველოში მაინც დააბრუნეს.

მას შემდეგ, რაც რუსმა მესაზღვრეებმა შეამოწმეს ავტოკოლონის თანმხლები დაცვის მუშაკები, მათგან ამოიღეს არარეგისტრირებული სასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, ნარკოტიკები და დაახლოებით ნახევარი მილიონი \$. მიმდინარეობს გამოძიება.

„იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თაერემ, სასაზღვრო ძალების სარდალმა ვალერი ჩხვიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ზედა ზარბაზის საკონტროლო გამშვები პუნქტი მდებარეობს სამაჩაბლოში და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარს აკონტროლებენ სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები. მისივე თქმით, აღნიშნული სიტუაცია რუს მესაზღვრეების მიერ შექმნილია ხელფონურად, რადგან საქართველოს ტერიტორიიდან სატრანზიტო ტვირთის რაოდენობის შემცირება უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ბიუჯეტზე - განაცხადა ჩხვიძემ.

დამოუკიდებელ დამკვირვებელთა აზრით კი, გამორიცხული არ არის, რომ რუსმა მესაზღვრეებმა აზვარ ზომებს მიმართეს ქართველი ქართველი მესაზღვრეების მიერ რუსეთის სამხედრო კოლონის შენერების საპასუხოდ. (იფრინდა)

P.S. რედაქციისგან: ამ ინფორმაციას, ვფიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ ერთ გარემოებაზე: „არაძირითად“ საკითხზე ინფორმაციიდან მაინც მიუტკვეთ მკითხველის ყურადღებას - დამოუკიდებელი საქართველოს დიდი ჩინოვნიკი გამუდმებით რომ ამკვიდრებს ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“, „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარი“ და ა.შ. კონსტიტუციის ძალით, მოსახსენიდა...




აკვლავების საქმის ისტორიიდან

საბაჰმა მისეული „სამოთხისათვის“ აირჩია მთებით გარშემორტყმული ველი, რომელიც მარკო პოლოს აქვს აღწერილი 1271 წელს „უმშვენიერეს ველზე, რომელსაც დიდებული მთები არტყია, მან გააშენა მდიდრული ბაღი, სადაც ყველანაირი ხეხილი იყო დარგული. ამ ველის სხვადასხვა ადგილას ნაირნაირი სასახლეები იყო აშენებული, მონაგროები და ავეჯით გაწყობილი აქ მოწყობილ არხებში და მიწებში ღვინის, რძის, თაფლისა და ანკარა წყლის წყაროები მოედინებოდა. აქვე ცხოვრობდნენ ღამაზი გოგონები, რომლებიც კარგად ფლობდნენ სიმღერის, ცეკვისა და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკერის ხელოვნებას. მაგრამ განსაკუთრებით სასიყვარულო გართობაში იყვნენ გაწაფულნი. მდიდრულ სამოსში გამოწყობილნი, გამუდმებით ერთობოდნენ ბაღში, მაშინ, როდესაც მათ მცველებს ეკრძალებოდათ გამოჩენა. ამ საოცარი ბაღის შემოქმედი ასეთი მიზნით ხელმძღვანელობდა. რამდენადაც მუშაობდა თავის ერთგულებს პირდებოდა, რომ ვინც მის ნებას დაემორჩილებოდა, მას სამოთხეს აწუქებდა მთელი თავისი სიტკბოებით, ამიტომ მათ უნდა ერწმუნათ, რომ ისიც მუშაობდა ტოლი წინასწარმეტყველი იყო და ფლობს ძალას, რომ ყველა ამ სამოთხეში შეიყვანოს, ვინც ამის ღირსად მიანია. ამ ველზე ერთი საიდუმლო ხერხი გადიოდა, რომელიც აუღებელ ციხე-სიმაგრეში იწყებოდა, რომელიც მისი ბრძანებით ააშენეს, რათა შემთხვევით იქ არაინ მოხვედრილიყო.

პასანმა მახლობელ სოფლებში ამოიჩინა ახალგაზრდა ხალხი,

თორმეტიდან ოც წლამდე ასაკისა, რომლებიც, მისი აზრით, აღზრდას უკეთესად დაეცემდებარებოდნენ მათგან შესანიშნავი მკვლელები გამოედინოდნენ. იგი ყოველდღიურად იბარებდა მათ თავისთან, ესაუბრებოდა სამოთხის სიამოვნებებზე, განსაზღვრულ მომენტში ათრობდა მათ გამაბრუებელი ბალახეულით და გადაჰყავდა ისინი ჯადოსნური ველის სასახლეებში, როგორც კი გაიღვი-



ძებდნენ, გაოცებას ვერ ფარადნენ ნანახის გამო. ისინი თავს მართლაც სამოთხეში გრძნობდნენ და ძლიერი სურვილი ჰქონდათ იქ სამუდამოდ დარჩენილიყვნენ. შეკითხვაზე, სად იმყოფებითო, ახალგაზრდები პასუხობდნენ „სამოთხეში, თქვენი წყალობით!“ შემდეგ ისინი ყველას უყვებოდნენ, რა ნახეს მათი მბრძანებელი ეუბნებოდა: „წინასწარმეტყველი გეარწმუნებს, რომ ბატონის დამცველი უცილობლად სამოთხეში მოხვდება, და, თუ თქვენ დამანახებთ თქვენს უპირობო ერთგულებას, დაემორჩილებით ჩემს ნებას თქვენთვის ეს ხეცდრი გამზადებულია“.

თავიდან თეთმკვლელობის

შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ცოცხლად დარჩენილებს განუმარტეს, რომ მხოლოდ პასანის სამსახურში სიკვდილი არის სამოთხის კარების გასაღები. XI საუკუნეში ეს არა მარტო გულუბრყვილო სპარსელ გლეხებს სჯეროდათ სამოთხის ბაღებისა და ჰურების არსებობა ნაკლებ გულუბრყვილო ადამიანებსაც სჯეროდათ. მრავალი სუფია ამტკიცებდა, რომ სამოთხის ბაღები მხოლოდ და მხოლოდ ალმეგორიული სახეა, მაგრამ მრავალი მტკიცებდა იყო დარწმუნებული მის არსებობაში.

დამასკელი აბდელ-რახმანის უძველეს „ეშმაკობის ხელოვნებაში“ იხსენება პასანის კიდევ ერთი ფანდი. მისი მისაღების იატაკი უკაეშირდებოდა ღრმა ჭას ერთი მისი მოსწავლე ისეთნაირად დგებოდა ამ ადგილას, რომ მხოლოდ მისი თავი მოჩანდა მის თავზე ადგამდნენ გახერტილ სინს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სინზე მოჭრილი თავი იდო. დამაჯერებლობისათვის ცოტა სისხლსაც ასხამდნენ. შემდეგ ოთახში ახალგაზრდები შემოჰყავდათ „მოუყვეი მათ, რაც ნახეთ“ - ამბობდა პასანი. მოსწავლე ყველგა სამოთხის სიამოვნებების შესახებ. თქვენს წინაშე იმ ადამიანის თავია, რომელსაც ყველანი კარგად იცნობდით, - ამბობდა პასანი, - მე იგი გაავაცოცხლე, რათა ყველაფერი თვითონ მოეთხორო.

მოგვიანებით ამ ახალგაზრდას კლავდნენ და მის მოჭრილ თავს ყველას დასანახად მოედანზე ჰკიდებდნენ. ამგვარ სახის ტროუკები პასანისთვის სასურველ ხარისხამდე აძლიერებდა ახალგაზრდობის სურვილს და სწრაფვას თავი შეეწირათ მისი საქმისათვის.

ბაბრამელება იმდნა

სკანდალი

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, გეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ გუშინ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი, ნოდარ ჯავახიშვილი, დაბარებული იყო მთაწმინდის პოლიციის უფროსთან.

თუმცა „სისხლის სამართლის“ განყოფილების უფროსმა უარყო ეს ინფორმაცია, მაგრამ პოლიციის სამორიგეოს მორიგე პოლიციელებმა დაადასტურა, რომ დღითი ნოდარ ჯავახიშვილი მართლაც გამოცხადდა მთაწმინდის პოლიციის უფროსის დაეალებით და მათ შორის საუბარაც შედგა.

კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, დაახლოებით ღამის 3 საათზე პოლიციელებმა ნოდარ ჯავახიშვილი დააკავეს, როდესაც ის ნასვამ მდგომარეობაში სამთავრობო ავტომანქანას მართავდა, რომლის ნომერია AAA 650. იმავე წყაროს ცნობით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დააკავეს მთაწმინდის უცნობ ახალგაზრდა ქალთან ერთად იმყოფებოდა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში გეა-ს კორესპონდენტს აცნობეს, რომ ჯავახიშვილი ამჟამად შევბუღებაში იმყოფება.

(გა)

ტელამა გაზეთ „საქართველოში“ თქვენი საცემიანობის წაბმაცემის საწინდართია!

დაბვირაქათ 93-18-41

	1	2	3	4	
5					6
			8		
		9			
10					11
		12		13	
	14	15			16
17					18
	19			20	
21			22		23
24					25
		26			
		27			28
29			30	31	32
		33			
34				35	

კარიფორდი

თარბულა: 5. საერთაშორისო „ტრაქტის“ ხელშეკრულება; 6. ლითონის დასატყფორი, შტამპის ხედა „სუნამოიანი“ ნაწილი; 9. მოკლე დისტანციაზე მორბენალი ღატარეა; 10. „ვირის“ ჩასაბერი საკრავი; 11. „ფეხზე მდგომი“ დაფა (ნაწ. რუს. კავშ.); 15. შენიშვნა, რომელიც „კომეტა არის“; 17. „ფენით“ გასაშრობი მაღალმთიანი სოფელი საქართველოში; 18. „ფერიანი“ სასოფლო-სამეურნეო საწარმო; 19. „ბალნიანი“ ანგარიში; 20. „ონის“ ხელოვნური ბოტკო; 24. „კუს“ თაყვანისცემა; 25. „ანის“ „გაქსეული“ მდინარე; 26. „ორბების“ „მეფე“ პოეტი; 29. ოპერა, რომელიც ყველაფერს ითხოვს; 32. ფორმა „იქ მყოფი პირისათვის“ (ნაწ. რუს. კავშ.); 33. „ბამზე ბუკით“ ამოსული ბალახი; 34. შესვენება თეატრალური წარმოდგენის მოქმედებებს შორის; 35. „ტურას“ გარემომცველ პირობათა ერთობლიობა.

შვეულა: 1. „ყოფილი ტრა“; 2. „ეს პი“ (რუს. კავშ.); 3. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი; 4. „ასი კეტის“ ადამიანი; 5. მოღიერის კომედია; 7. ცხენების სარბენი „რომში“; 8. ველური ინგლისელი მწერალი (რუს. კავშ.); 12. „ორის“ საკომანდო პირი; 13. „შნოს“ თავის გამოსახენი ადგილი (ფილმი); 14. „ტანის“ არჩევითი კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის; 16. „ბერი, რომელიც არ არის სი“ (ნაწ. რუს. კავშ.); 21. „პოდის“ საწინააღმდეგო; 27. „ნარის“ ალვის ხე; 28. „ერის“ ფხვიერი ჭუჭყი; 30. „ამბტარი მორიგობა“ გემზე; 31. „კინი“ აფხაზურად.

თარბუნა მარკაპრიანი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლის გოლანდი, კუშპინის ძ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოაზრება: 93-18-41
რეგისტრირებულია თბილისის კრწანის რაიონის სასამართლოს
შიფრ. №06/4-444